

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიგნობართა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 97

2020



მთ. რედაქტორი

პაატა ბურჭულაძე

მწერალი, საქართველოს

მწერალთა, მეცნიერთა და

საზოგადო მოღვაწეთა

საერთაშორისო აკადემია

„ქალდეა-საქართველო“-ს წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბროუსაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-904-2 (97 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანდა რა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნონებრებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნონებრთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაქტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნონებრთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-დარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონას, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვებრდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი ახრი რადიკალურად უარვეყავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგვიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმძირელი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითვბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველუქავი მისწოლია... მათ იცინან იმ ოქმება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცოვად შხვვდი ყოველ ძეხას, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიმრ

(გაგრძელება)

წერილის უკვე მოტანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ პროფესორმა აკაკი გაწერელიამ ნათლად გვიჩვენა ის, რისი ჩვენებაც უნდოდა, მაგრამ მაინც განმარტავს: „ჩვენ მოგვაქვს დიდი ფრანგი პოეტის შეხედულება იმის შესახებ, რომ „ოპტიმისტები ვულგარული გაგებით, ამიტომ ჩვენი კვალიფიკაცია მისი ორი წიგნის (მხედველობაშია „შეიბნ მახვილი“ და „მოლოდინი“ – კ. მ.) ტონალობისა არ უდა იქცევს პოეტის პესიმისტად აღიარების საბაბად. ვაჟა ეგრისელი ჯანმრთელი სულის ქართველია, მისთვის უცხოა ასეთი სულიერი ვითარება, რომელიც ამ ქვეყნად მიუსაფრობის შთაბეჭდილებას სტოვებს“.

ასეა, ყოველივე ეს ბატონმა პროფესორმა იმიტომ თქვა, რო ხაზგასმით აღენიშნა, – ვაჟა ეგრისელი ჯანმრთელი სულის ქართველია, მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქართული მხატვრული ლიტერატურის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებში, ხო-



ლო, სადაც ტრადიციაა, იქ არ შეიძლება არ იყოს ნოვატორული ძიებანი და გარდაქმნანი.

გულთბილი წერილები მიუძღვნეს ვაჟას ეგრისეელის პოეზიას მწერლებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა. წინამდებარე მონოგრაფიის წერის პროცესში ჩვენ მივაკვლიეთ ას-ზე მეტ წერილსა და რეცენზიას, რომლებიც ქართველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა სპეციალურად მიუძღვნეს მის შემოქმედებას. მათ შორის არიან სიტყვის გამონივნილი დიდოსტატები. სანამ ამ წერილებისა და რეცენციების მიმოხილვას დავიწყებდე, წინასწარ მინდა ვთქვა ერთი რამ: ყველა მწერალი, ვინც ვაჟა ეგრისეელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილისა თუ რეცენზიის დასაწერად ხელში კალამი აიღო, აღნიშნავს იმ დიდ ღირსებებს, თვითმყოფადობას, მაღალ ოსტატობას, ნოვატორობას, სტილისა და გამომსახველობითი საშუალებების საიხლეს, რაც მის პოეზიას ახასიათებს და გამორჩეულსა ხდის.

და არც ერთი შენიშვნა!

არც ერთი ნაკლი თუ ხინჯი!

ეს უიშვიათესი მოვლენაა!

რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი შოთა ნიშნიანიძე ვაჟა ეგრისეელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა 1991 წლის 18 ოქტომბერს, ასათურებს სიტყვებით „მეტაფორის ოსტატი“ და აღ-



ნიშნავს: „მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გატარებული და მხატვრული ორნამენტივით აღიქმება“.

თავად ბატონი შოთა ნიშნიანიძე სათქმელის მეტაფორების პრიზმაში გამოტარების აღიარებული დიდოსტატია ქართულ პოეზიაში. პროფესორი აკაკი თოფურია თავის წერილში, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვაჟა ეგრისელზე ამბობს, მისი პოეზია, შოთა ნიშნიანიძის შემდეგ მეტაფორული გამომსახველობის ნიმუშს წარმოადგენსო.

მოდით, ჩემო საყვარელო მკითხველო, დავეთანხმეთ ბატონ აკაკი თოფურიას, მაგრამ კმაყოფილების გამოუთქმელობაც არ გვეპატიება იმიტომ, რომ თავად დიდოსტატი შოთა ნიშნიანიძე უქებს დიდოსტატს ვაჟა ეგრისელს მას, რითაც თვითონაა ქებული.

სოციალისტური შორმის გმირი პოეტი აკადემიკოსი გრიგოლ აბასიძე ვაჟა ეგრისელისადმი მიძღვნილ წერილში „სიღბო ნაქსოვისა“, სადაც პოეტის ორი კრებული „შეიბნ მახვილი“ და „მოლოდინია“ განხილული, აღნიშნავს, რომ „ამ კრებულებში აშკარად იგრძნობა პოეტის მაძიებელი სული, მისი სწრაფვა საკუთარი ხმის გამოკვეთისაკენ“.

და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ვიცით, – სწრაფვა სრული გამარჯვებითაა დაგვირგვინებული, რაც მაშინვე, ბატონი გრიგოლ აბასიძის წერილის დაბეჭდვის დღესვე შევიტყვეთ მწერალთა კავშირის გამკეობის წერილიდან!



მხოლოდ ერთი დღე იყო გასული ამ დღიდან, როცა გაზეთ „წიგნის სამყაროში“ დაისტამბა მწერლების რევაზ ჩხარტიშვილისა და ზუმრუდ გოდერძიშვილის წერილები „გულანთებული კოლხი პოეტი“ და „პოეტის თვალსაწიერი“. მოვიტანოთ ამონაწერები ამ წერილებიდან.

რევაზ ჩხარტიშვილი მიმართავს ვაჟა ეგრისელს:

„შენებრ ლაკონურად და სხარტად თითქმის არავინ წერს ქართველ პოეტთა შორის“.

ზუმრუდ გოდერძიშვილი:

„მეტაფორების ოსტატი... საოცრად ხილმსხმოიარე ტოტივით ჩამოქანდება ხოლმე მისი მცირე ზომის ლექსებიდან შედარებებით დახუნძლული სტრიქონი“.

სიახლე, თავისი საკუთარი ხმა, ნოვატორული მადიებლობა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თავიდანვე აშკარად შესამჩნევი იყო. ის, რაც ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ 1992 წელს გვითხრა ვაჟა ეგრისელის შესახებ, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნე ბორის მირცხულვას ჩვიდმეტი წლის წინ, 1974 წელს ჰქონდა ნათქვამი. აი, რას წერდა მაშინ ბატონი ბორის მირცხულავა გაზეთ „თბილისში“: „წიგნში (მხედველობაშია ვაჟა ეგრისელის წიგნი „ამაღლება“ – კ. მ.) თითქმის ვერ შეხვდებით ვერცერთ იაფფაასიან ლექსსა და სტრიქონს... „ამაღლება“ მნიშვნელოვნად



განსხვავდება ბოლო დროს გამოცემული ახალგაზრდა პოეტების თითქმის ყველა კრებულისაგან თავისი ინტონაციით, ფორმით, თემატიკური მრავალფეროვნებით, სახეებით“.

ცოტა მოგვიანებით, 1981 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ მწერალი ლევან ჩოხელი წერდა:

ვაჟა ეგრისელის „ყველა ლექსი თავისი სტრუქტურით ახალია და თავისებური, არსებითად განსხვავდება ყველა სხვა თანამოკალმის ლექსებისაგან“.

ახლა კი, როცა ვაჟა ეგრისელი ბევრი წიგნის ავტორია, რომლებშიც ათასობით ლექსი აქვს დასტამბული, იგი საბოლოოდ წარმოგვიდგა როგორც საკუთარი, განუმეორებელი ხმის, სტილის, თვითმყოფადი შემოქმედი ნოვატორი.

მწერალი მიხეილ ჩაჩუა წერილში „მცირე უსტარი ვაჟა ეგრისელს“ მიმართავს: „შენი პოეზია რაღაცით იქნებ ჰგავს სხვისას, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავებულია სხვათაგან და მხოლოდ შენეულია“.

პოეტი სილოვან ნარიმანიძე ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას მიუძღვნის წერილს „მხოლოდ ღვთიური შთაგონებით“, სადაც მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რო მისი პოეზია განსხვავებულია, თავისთავადია, ნოვატორულია და ამბობს:

„თვითმყოფადი ჰარმონია...“



განსხვავებული მანერა და მისეული ხელწერა – პირველივე სტრიქონებიდან შეიმჩნევა“.

ლიტერატურათმცოდნეები მათ მიერ წარმოებული ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებულ ასეთ დასკვნას გვთავაზობენ: მწერლობაში სიახლე სულ მცირეც რომ იყოს, თუკი ის მართლა სიახლეა და არსებითს შეეხება, დიდ გავლენას ახდენს ლიტერატურული ტრადიციის ნორმათა გადახალისებაზე.

ვაჟა ეგრისელის მიერ შემოტანილი სიახლენი, როგორც უკვე დავრწმუნდით, დიახაც მართლა სიახლეა. და არსებითს შეეხება, ამასთან ერთად, მცირე როდია, – მნიშვნელოვანია.

ამის შესახებ ფრიად შტამბეჭდავად ამბობს მწერალი რევაზ მიშველაძე ვაჟა ეგრისელის პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში „სულის დამამწვიდებელი პოეზია“.

მკითხველს ამჯერადაც ნება უნდა ვთხოვო და ვრცელი ამონარიდი მოვიტანო ამ წერილიდან:

„მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს ჭეშმარიტ პოეტისეულ მსვლელობას ამ უკიდურეს მზის ქვეშეთში და დარწმუნდეს იმაში, რომ შემოქმედს გრძნეული ხილვები თავის ათასფეროვან დეკორატიულ პანოზე ოდენ სილამაზისათვის კი არ გამოუხმია, არამედ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს შეგნებაში საწაღმართო ფიქრთ აღსაძვრელად...“



ეს გახლავთ აღმოსავლური მინიატურული ნა-
ხატივით მცირე ზომის, მეტაფორებით და დრამატიზ-
მით დამუხტული პოეტური ჩანახატი...

ნატიფი ხელწერით და ნათელი სახეებით ჩა-
მოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები
თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უე-
ცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლით და ლაპი-
დარულობით ყურადღებას რომ მიგაქცევიანებს, მერე
უაღესად თანადროული და ეროვნული პოეტური აზ-
როვნებით გაიძულებს ჩამოჯდეს და პოეტის ფიქრი
გაიზიარო, მის სტრიქონებთან ღამე ათიო“.

ბატონი რევაზ მიშველაძე წარდგენას არ საჭი-
როებს და არც არასდროს უთქვამს ხოლმე ისეთი
რამ, რაც ღრმა ფიქრთა სამყაროში არ შეგიყვანს.
და რაოდენ საამაყო უნდა იყოს პოტისათვის ის,
რომ სხვების ფიქრთამპყრობელი შენმა ნაფიქრალმა
და ნათქვამმა ჩამოაჯინა, თანაზიარი გაიხადა და
მათთან ღამე ათევია!

ვაჟა ეგრისელის პოეზიამ ბევრისმომსწრე, ბევ-
რისმნახველი და ბევრჭირგამოვლილი მწერალი
აღუქსანდრე სიგუა ისე მოხიბლა, რომ აიძულა მისი
შემქმნელი „ლეგენდებიდან მოსულ კოლხად“ მოე-
ნათლა. პოეტისადმი მიძღვნილი მისი წერილი საკმა-
ოდ ვრცელია და მეტად გულთბილია. მისი მთლიანად
აქ მოტანა ვერ შევძელი, ამიტომ მკითხველს
ვთავაზობ მცირე ასონაწერს:



„მე წავიკითხე ამ ღვთაებრივი კუთხის შვილის – ვაჟა ეგრისელის ლირიკული ლექსების წიგნი „მოლოდინი“ და.... უცებ აღმოჩნდი აქამდე უცნობის პოეზიის სამყაროში...

მისი ყველა ლექსი, რა თემაზეც არ უნდა წერდეს იგი, ღრმა ფილოსოფიური აზრითაა დატვირთული.“

როცა პოეტის ნოვატორობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავისხენოთ, რომ ქართველი ლექსის ნოვატორები გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, – ნოვატორობა, ეს ახალი მხატვრული აზრი და სახეაო და ნოვატორისაგან მოითხოვდნენ:

- 1 – ზოგადფილოსოფიურ საგანთჭვრეტას;
- 2 – პოეტის შინაგანი ბუნების მხატვრული სახეების მეშვეობით გადმოცემას;
- 3 – ინდივიდუალობას;
- 4 – შემოქმედებითს თავისუფლებას;
- 5 – მზამზარეულ, დასწავლილ ფორმულათა ურაყოფას;
- 6 – ანტინატურალიზმს;
- 7 – მხოლოდ სპეციფიკური და არსებითი ასპექტების გადმოცემის ტენდენციისადმი ერთგულებას;
- 8 – მოულოდნელობის ეფექტის გაძლიერებას.

თუ როგორაა რეალიზებული ვაჟა ეგრისელის პოეზიასი ამ მოთხოვნათა პირველი პუნქტი, ამის შესახებ ზემოთ დამაჯერებლად გვითხრა ბატონმა



ალექსანდრე სიგუამ. სხვა პუნტქებზე ზოგი რამ უკვე ნათქვამი გვაქვს, ზოგსაც კი აწი ვიტყვით. ახლავე მინდა ერთი ლექსი მოვიტანო ვაჟა ეგრისელის სულ პირველი წიგნიდან, რომელიც 1968 წელს დაისტამბა და რომელსაც „სიცოცხლე“ ერქვა. ეს ლექსი „მოულოდნელობის ეფექტის“ კლასიკურ ნიმუშად მიმაჩნია:

გავარდა მეხი...
წამოცვივდნენ სველი იფნები,
მერე გარინდნენ, სუნთქვა შეიკრეს,
როგორც თულებმა,
გამეფდა შიში, ვით სიცოცხლე
და ჩაფიქრება,
მაგრამ ანაზღად ტყე დაიძრა
როგორც თქმულება,
მოვარდა ქარი...
ხის ტოტებზე ციცქნა ქოხივით
ბუდე ჰკიღია და ივსება
მზითა და ქარით,
დგას ბერი მუხა, მოხუცივით წელში
მოხრილი,

ფიქრობს... ფიქრობს.: და
ვერ იხსენებს გაჩენის თარიღს.

ამ ლექსის დაწერიდან მეოთხედი საუკუნეა გასული. სჭირდებოდა კი მის დამწერს თავის ლექსებში კიდევ უფრო გაეძლიერებია მოულოდნელობის ეფექტი?



ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩვენი საყვარელი პოეტების – გალაკტიონის, პაოლოსა და ტიცია-ნის მოთხოვნათა სამართლიანობაში შევიტანო ეჭვი არამედ იმიტომ, რომ ვაჟა ეგერისელის პოეზიაში თავიდანვე არსებობდა ის გენური კოდი, რაც ნოვატორობად უნდა ქცეულიყო. მთლად როდი ტყუიან ნატივისტური თეორიის მიმდევრები, არტურ შოპენჰაუერი, ჯონ დიული, როცა ამტკიცებენ – ადამიანის გენებში მემკვიდრეობით გადმოჰყვებაო ყველა მონაცემი, რაც მისი ინდივიდუალობის ჩამოყალიბების განმსაზღვრელიაო.

ინდივიდუალობა პიროვნების განვითარებისა და სრულყოფის აღმავალი კიბის (ადამიანი, ანუ ჰომო საპიენსი – პიროვნებაა – ინდივიდუალობა) ბოლო საფეხურია. ადამიანი ყველაა, ვინც ჰომო საპიენსის ჯიშისა იშვა. პიროვნება ყალიბდება ადამიანის საზოგადოებრივი როლის (დასაქმების) ზრდის კვალობაზე. არიან დიდი პიროვნებები და პატარა პიროვნებები. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში გაერცვლებულია ტერმინები: „დიდი პოეტი“, „საშუალო პოეტი“, „პატარა პოეტი“.

ცხადია, ყველა მწერალი პიროვნებაა, როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმული ადამიანი (საზოგადო მოღვაწე) და ყველა მათგანი მიისწრაფის კიბის ბოლო საფეხურისაკენ, ინდივიდუალობისაკენ. ამ საფეხურზე იკრიბებიან გამორჩეული ხმის, ენის, ხელწერის, აზროვნების, მხატვრული შემოქმედების



ნიჭით დაჯილდოებული მწერლები. ისინი ინდივიდუალობები არიან. მაგრამ, ჩემის აზრით, ლიტერატურათმცოდნეთა მიერ მოცემულ განსაზღვრებას თუ დავუჯერებთ, – იმდენად დიდია მწერალი, რაც უფრო თვითმყოფადი და ინდივიდუალური ბუნებით გამოირჩევა მისი შემოქმედება, – თვით ტერმინი „დიდი მწერალი“ მხოლოდ იმ მწერლებს უნდა მიესადაგოს, რომელთა შემოქმედებას „რამდენადაც უფრო თვითმყოფადი და ინდივიდუალური ბუნება“ კი არა გამოარჩევდეს, არამედ განსაკუთრებულად თვითმყოფადი და ინდივიდუალური ბუნება. მხოლოდ ასეთი მწერალი შეიძლება იყოს თვითმყოფადი, ინდივიდუალური, განუმეორებელი.

თუ ეს კრიტერიუმი ასე არ ჩამოვაყალიბეთ, მაშინ ყველა მწერალი მეტ-ნაკლებად „დიდი მწერალი“ გამოგვივა, რადგან კაცი ყველა თვითმყოფადი და ინდივიდუალური ბუნებისაა, მეჯინბე იქნება ის, მეწისქვილე, მეარღნე, – მით უმეტეს, – მწერალი.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის განხილვას ვრცელი წერილი მიუძღვნა პოეტმა ოთარ შალამბერიძემ. როცა ამ წერილს ვკითხულობდი და ყველაზე უფრო შესაფერის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ადგილებს ვარჩევდი ამოსარიდებლად და ჩემს მონოგრაფიაში გადმოსასახლებად, თითქოს ზომიერების გრძნობამ მიმტყუნაო, ბევრ რამეს ვერ შეველიე და უზარმაზარი ამონაწერი გამომივიდა. მკითხველს ამჯერადაც კიდევ ერთხელ მოვუხდი ბოლიშს და შეე-



თავაზებ ამ ვრცელ ამონაწერს, განსჯას იმისას კი, თუ რამდენად მიღალატა ან მიღალატა ზომიერების გრძნობამ, თვით მას მივანდობ. ბატონ ოთარს ვთხოვ, მაპატიოს, რომ ამ საქმეს მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ვაკეთებ და ვაცხადებ, თუ ეს ჩემი მონოგრაფია დაიბეჭდება, კუთვნილ ჰონორარს მივართმევ.

ბატონ ოთარ შალამბერიძის წერილს ჰქვია „მოლოდინი“ ან „სამსვენისების გაღერა“. ამ წერილში ის წერს:

„ნიკოლოზ ვერუბიციკის წიგნში „შეხვედრები ესენინთან“ (ეს წიგნი ქართულადაც დაისტამბა რამოდენიმე წლის წინ) – ვკითხულობთ:

„... იყო კიდევ ერთი რამ, რის გამოც ესენინი მუდამ გულჯავრიანობდა: კრიტიკული წერილები ჩემზე არ დაწერილა და არც იწერება... უკვე რვა წელია, რაც ვიბეჭდები და აქამდე არ წამიკითხავს ჩემზე არცერთი სერიოზული წერილი... ეტყობა, მაინც და მაინც უნდა მოკვდეს, რომ მერე შენზე რაიმე საყურადღებო დაწერონ...“

მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორულ აზროვნებას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული და, მის შესახებ უამრავი მასალა წაგვიკითხავს, მაინც ამგვარად დამუხტულ პოეტურ ნაწარმოეთა გარჩევა ფრიად რთული მეჩვენება...

ამ წიგნს (ლაპარაკია წიგნზე „მოლოდინი“ – კ. მ.) თამამად შეიძლება ეწოდოს სამშვენისების გაღერა



რეა, სადაც თითოეულ მათგანთან შეხერება და ჩაფიქრება გემართებს...

მცირე ზომის ლექსი რომელ პოეტს არ ჰქონია, მაგრამ, ვაჟა ეგრისელს სტრუქტურულად ისე აქვს დამუშავებული გამოსახვის ეს კომპონენტი, რომ თითქმის გაითავისა კიდევაც...

მე არავის ვახვევ თავზე ჩემს შთაბეჭდილებებს, მაგრამ არც იმით დაშავდა რაიმე, მკითხველს რომ მეგობრულად ვურჩიო, – თუკი სადმე წააწყდება ამ წიგნს, გულგრილად ნუ ჩაუვლის, შეიძინოს. ამ წიგნში იგი – ახალი პოეტური სახეებით დაინტერესებული მკითხველი – დაინახავს:

მამლებს ყივილის გრძელი თოკებით როგორ ამოაქვთ ზღვიდან ამქვეყნიური სიაგარგე...

როგორ ჰგავს მტკვარი გორგასლის ხელმოწერას...

როგორ ადის ცაში ღვთის სადიდებლად ანთებული ტყემლის თეთრი სული...

როგორ აცვია კოლხურ ღამეს, როგორც წინაპარს, ვარსკვლავების ჯაჭვის პერანგი...

როგორ ისმის სარზე ჩამოცმული ბედაურის თავის ქალიდან არარაობის ცივი ჭიხვინი...

როგორ გამოიყურება ზამთარში თეთრი ბუხრის თერმომეტრგაჩრილი მეგრული ოდა...

როგორ მიუყვება სოფლის შარას შავით მოსილი... სადამო კი არა, პოეტის დედა...



ან – მიწას მეკურტნესავით როგორ მოუკიდია ზურგზე ცა ცისარტყელების შვიდფრა თოკით შემოჭერილი...

როგორ ჰყრია ირგვლივ ციხეთა წარსული და როგორ დასცქერის მეტეორებისაგან ბროწეულივით გახლეჩილი მწიფე ცა...

ზღვა როგორ აკრაჭუნებს თეთრი კენჭების კბილებს...

როგორ უნდა გამოიცნოს, ან ვერ გამოიცნოს – ურემი მიდის თუ მოგონების კარი ჭრიალებს...

თვალ-მარგალიტით სავსე ღამის სასახლეს როგორ ადევს მთვარის დიდი ბოქლომი... (ძლივს ეღირსა მთვარეს სრულიად განსახვავებული შედარება!)

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება თხმელის ცეცხლივით ერთხმად აბრიალებდა და, ვიდრე მათ შესახებ ატეხილი მითქმა-მოთქმა თუ ნაირ-ნაირი ღითორამბი ერთმანეთს ენაცვლება, კერიაზე მხოლოდ ნაცარი-და რჩება, ხოლო იმ ნაცარსაც დრო ჰგვის... სულ სხვააწყავის ხე! იწვის ხანგრძლივად, თანაბრად და უხმაუროდ... ვაჟა ეგრისელის ახალ წიგნში გაბნეული პოეტური სახეები სწორედ წყავის ხის ნაკვეთხლებივითაა თავისავე ღვედღში შეფუთული და უხმაუროდ გამოსცემს სითბოს“.

ბატონ ოთარ შალამბერიძის წერილიდან მოტანილი ამონარიდები ძალიან მიაღვილებს ამოცანას – ვუჩვენო მკითხველს, თუ როგორ მოახერხა ვაჟა ეგრისელმა ღირსეულად შეესრულებინა ჩვენი ნოვატო-



რების, გალაკტიონის, პაოლოსა და ტიცვიანის ყველა რვა მოთხოვნა. ვაჟა ეგრისელი შეუპოვრად შეეჭიდა ქართული პოეზიის ტრადიციათა განახლების საქმეს, როგორც ეს თავის დროზე გალაკტიონმა გააკეთა, როცა გულიდან აღმოხდა: განახლება ან სიკვდილი! – იცოდა რა, რომ ნოვატორობის გარეშე ლიტერატურა ვერ იარსებებს, რადგან ტრადიციებს ნოვატორები აცოცხლებენ.

პოეტი მიხეილ გოგუაე თავის წერილში „ნათელი მოვა“, წერს:

„ვაჟა ეგრისელის პოეზია კალენდოსკოპია ვიზუალური, მინიატურული ლექსებისა, რომლებიც სახვითი ხელოვნების ნიმუშებს ენათესავებიან“.

მწერალი ბენო კონჯარია ვაჟა ეგრისელის პოეზიას მიუძღვნის წერილს „ჭეშმარიტი პოეტი“, რომელშიაც წერს:

იგი „თავისებური, ქართულ პოეზიაში აწ უკვე გამორჩეულად გამოკვეთილი საკუთარი ხმის მქონე ხალასი პოეტია...“

კითხულობ და გეამტკბილება მისი ლექსების პოეტურ-მუსიკალური ჰარმონია, მის ნააზრევ-ნაჩუქურთმეში ხედავ სინათლეს, სინატიფეს. გხიბლავს ჩინებული შედარებები და ხატოვანება...

მჯერა მისი პოეტური ქმნილებები ჭეშმარიტი ქართული პოეზიის სამყაროს ერთ-ერთ თანავარსკვლავედად რომ წარმოჩინდება“.



აქვე მოვიტან ამონარიდს პოეტ უშანგი ბელიას წერილიდან „ლექსი აისბერგი“, რომელიც ვაჟა ეგრი-სელის შემოქმედებას ეძღვნება:

„ვაჟა ეგრისელი ქართულ პოეზიაში ახალი მეტაფორების მხვინელ-მთესველია“.

საიდან მოსდის ხელოვანს ის ზეშთაგონება, რომელიც მას მხატვრული სახეების ბაღში შეიყვანს, მეტაფორებს, შედარებებს, ეპითეტებს აკრეფინებს და შემდეგ ათესვინებს?

ან კითხვას მეორე კითხვაც თან ახლავს: რატომ მიუჯდა პოეტი საწერ მაგიდას, ლექსი უნდა მოიფიქროს და დაწეროს თუ ლექსი უკვე მოფიქრებული და დაწერილი აქვს თავში და ის ქაღალდზე უნდა გადაიტანოს?

პირველ კითხვაზე როცა ვპასუხობთ, საქმე გვაქვს ხელოვანის აქტივობის მასტიმულირებელი ძალის მოძიების საკითხთან. მეცნიერები ამ მასტიმულირებელ ძალას ეძებენ ხან ცნობიერების სფეროში, ხან ესთეტიკურ (გრძნობათა) სფეროში, ხან ნებელობის სფეროში, ხან ემოციურ სფეროში, ხანაც კი ფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ სფეროებში. უფრო მეტ მნიშვნელობის მეცნიერები შემეცნების სფეროს ანიჭებენ. ალბათ ამან ათქმევინა ცნობილ ფსიქოლგ ლევ სიმონის ძე ვიგოტსკის: „სანამ მკვლევარნი შემოიფარგლებიან ხელოვანის მხოლოდ ცნობიერების პროცესთა ანალიზით, მანამდე სათავე და არსი



მხატვრული შემოქმედებისა ამოუცნობი დარჩება, რადგან უახლოესი მიზეზი, როგორც მხატვრული ეფექტისა, ასევე შემოქმედებითი აქტივობისა არაცნობიერშია მიმალული და... მხოლოდ ამ სფეროსი შეღწევის შედეგად თუ გაეცემა პასუხი ხელოვნების ძირიათად საკითხებზე“.

აქ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია უნდა მოვიშველიოთ და ვივარაუდოთ, რომ ის, რასაც ლევ ვიგოტსკი არაცნობიერში მიმალულს უწოდებს, განყოფილება და აი, ამ განყოფილების შექმნასი კი, ჩემის აზრით, მონაწილეობს ყველა სფერო: ცნობიერის, გრძნობების, ემოციური, ნებელობის, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური სფეროები.

კოტე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

*ნაწყვეტი წიგნიდან – პოეზიის
სამყაროში სამოვ ზაუროდ*

გაგრძელება შემდეგ ტომში



წუთისოფლის მგზავრები

უამური ხმა ისმის –

საიდანღაც ზარების,
იყვნენ...

აღარ არიან

წუთისოფლის მგზავრები:

ნოტოზავრი,

კენტოზავრი,

ბაროზავრი,

პტეროზავრი და... ტირანოზავრები...

1962

პარადოქსი

(სამეგრელოს მესუთე დალაშქვრა)

მტრებმა არა!

თვით „მოყვრებმა“!!!

კოლხეთს ცეცხლი წაუკიდეს!

დაწვეს მიწა...

ცას მური ცხეს!

რომლის სახელს თაყვანსცემდნენ

ბაბილონი

და ეგვიპტე

და ფიცავდნენ მის მურიცხებს*.

1993

* მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.



ფიდიასი და ჰენრი მური

შენ სტრიქონებს, ვით საჭრეთელს,
ისე ლესავ,
თან რომ ახლავს
ბევრი შური.
და ერთი ხართ შენ და ლექსი,
ისე, როგორც ფიდია¹... და
ჰენრი მური².

1967

¹ ფიდია (ფიდიასი) – გენილური ბერძენი, მოქანდაკე,
(ძვ. წ. აღ. V ს.)

² ჰენრი მური – დიდი ინგლისელი მოქანდაკე.



ხილვა: აიეზის სსსახლე

(ვარიანტი)

დარი უდგას „ოქროს საწმისს“

და არესის ლურჯ

ჭალაში,

ურჩხულ მოდარაჯე მუხას,

ღალატი თვალს ადევნებს.

ზეიმი აქვთ ვაზნარებში

გადმომქუხარ –

რძის და ღვინის შადრევნებს.

1964



ოცნების ახლება

აგისდა,

რაც ოდეს ისურვე,

პოტმა მეტი რა ინატროს?!

შენშია უკვდავი ცის სული,

და...

ცაში ბინადრობ!

2020



ისევ ხორბაში

ქალაქს წასული

ის გლეხის ბიჭი,

დიდი ხნის მერე

დაებრუნდი და...

ისევ აქა ვარ!

და ვითარც მაშინ ბავშვობისას,

კვლავ ისევ მიკვირს:

ეს ვარსკვლავები

ვინდამ აანთო,

ანდა ეს მოვარე რამ გააქვავა?!

1983



შენი სიტვა

ბედისწერისგან გამოგზავნილი
წინ ცეცხლია და
უკან ორწყალი,
და ებრძვი უამთა აქარცივებას...
მაგრამ დარეკა –
ზარმა მოწყალის
და შენი სიტყვა გასხივოსნდა...
და გაციერდა...

2020



ტაო-კლარჯეთში

ვით ათაბაგის ნაზი ასული,
კვლავ გადმოგვცქერის
მთვარე –
კეთილი.

და შორით მოჩანს ცა –
ვარსკვლავთა
ქვა-ღორღიანი.

და სალკლდეებზე გამოკვეთილი
ფრთიან ღომეების მესმის
ღრიალი...

1963



ხუმბარა, ამური

ხუთიათასწლეულის და უფრო იქიდან,
„განჭაბუკების ბალახის“
მკებნელი
მეფის¹-ერუქის, კურთხეულის და საამურის
მომესმის ლოცვა და ვედრება:
– შენი „ფსალმუნები“ ტყე არის
კედრების,
რომელსაც ხუმბაბას² მაგიერ,
დარაჯობს ამური³.

1989

¹ მეფე – იგულისხმება გილგამეში

² ხუმბაბა – აესული, ცეცხლისმფრქვეველი ურნხული

³ ამური – სივარულის ღმერთი



იმიტომ ღამდება

მოკვდავებს ცრემლი და
ტკივილი,
არასდროს არ დაუამდებათ.
თუნდ ლოცვა-ვედრებით
ღამეებს ათევედეს!
და ამ ცისქვეშეთში იმიტომ ღამდება,
ნათელი დილა რომ გათენდეს!

2019



ღრო

ცის და მიწის შუა მარადმედინი
ღრო მიიქცევა –
სფეროებს იქით,
და მიაქვს ჩვენი დარდი და ფიქრი,
მზეცა და მთვარეც,
სადღაც შორეთში –
პლანეტებს გარეთ!

1965



დედაო მიწავ

აი, აქ არის ჩემი ედემი –
ზღვაც და კოლხეთიც
და აკვანიც აქ დაირწა.
სიმსუბუქე და
სიმაღლე ჩემი,
ხომ არ გამძიმებს –
დედაო მიწავ!
სხვა არაფერი!

2020



1861, 1941

სიცოცხლის და

სიყვარულის,

ღმერთებს დარჩათ კარი ღია

და მოვიდა ორი ვაჟა,

მათი მოსვლის თარიღია:

1,8 და 6,1¹.

1,9 და 4,1².

ესეც ნება იყო ღმერთის.

1961

¹ ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წელს.

² ვაჟა ეგრისელი კი 1941 წელს.



არშის ციხესთან

გრგვინვა და შფოთვა ისმის
არაგვის,
რადგან მთებსა ჰყავს
გამოკეტილი.
და წარსული კივის და კივის...
გორაკებზე კი ისე ჩანან
ზვინები თივის,
ვით მტრის თავები –
ჩაჩქნიანად მოკვეთილი.

1963



სამყარო

სადაც აკვანი შენი დაირწა –
ცად ვარსკვლავები
ვინდა აყარო!
ცისარტყელაა – შენი სარტყელი.
კვლავ ეზიდები –
ცად დედამიწას
და გიხარია მთელი სამყარო
ხელისგულზე რომ გიზის
ბარტყევით.

1993



ფიღია

პელაზგოსის ნაშიერს

კაცს –

გვარადაც ფიღიას*,

(ვითარცა ქასქ ფიფიას)

წაუმატეს მერე „ასი“,

და მიიღეს ფიღიასი.

მერე...

ათასწლეულები –

მიჰქრიან და

მიჰქრიან...

1969

* ფიღია (ფიღიასი) – გენიალური ბერძენი (პელაზგი) მოქანდაკე (ძვ. წ. აღ. V ს.)



ფშავ-ხეშურეთში

ცა მიწას ებრძვის ჭექა-ქუხილით,
გამშეგლებელი არჩანს
არავინ!

დუმან ხევები,
ისე როგორც აშრიალები¹.
გადაკარგულა სადღაც არავი²,
დგან მთები და თოვლის
მანდილს აშრიალებენ.

1964

¹ აშრიალი – ფრინველის დასაჭერი მახე, ილინჭა პო-
ტიკო (საბა).

² არავი – სამხრეთის ქარი.



თეთრი სულები

ვითარც ხსოვნა და

არდავიწყება –

დაციმციმებენ შორით მთიები.

ასეა მუდამ დაუსრულებლივ...

თეთრ ფრთებს გაკრავენ

ზღვას თოლიები,

რომ გაადვიდონ –

დაღუპულთა

თეთრი სულები.

1960



**ხილვა: სერაფიტა,
არსაკიძე**

აგე, რამდენ საუკუნეს –
ლეგენდა და
სერავს მითი.
მითქმა-მოთქმა არ ილევა...
და მცხეთასთან რომ იელვა,
არსაკიძის ხსოვნა იყო,
თუ უკვდავი სერაფიტის?!

1967



ხილვა: ცა, დედამიწა

სადღაც ღამის მღვრიე ზღვაში,
მკრთალი მთვარის ჩანს
კუნძული,
საიდანაც უცნაური ისმის ხმები:
ვარსკვლავებით დახუნძლული
ცა რომ ძირს არ ჩამოვარდეს,
კვლავ უჭირავს დედამიწას მათა
მხრებით.

1960



ხეკორძულა

ქარს არაგვის მოაქვს ექო,
მისი შიშით გულნათელი,
ხევი მთებში შეკუნძულა,
მცხეთის სანახებში ელის
არსაკიძეს –
ხეკორძულა!

1965



კოლხური ღამე

გინდა ცაზე რომ მიადგა კიბე,
და მივინვარ ზღვაზე
რომ გასდო ხიდი,
მაგრამ სამყაროს ვერაფრით
ვერ ცვლი!
ღამეს სავსეა აქვს –
მთოვარის ჯიბე,
მნათთა ბაჯადლო
ოქრო და...
ვერცხლით.

1962



რიშრაში

უხილაგის ხელი კი,
საქართველოს ცას წურავს,
ისე,
როგორც „ადესას“...
ემატება ფერს – ფერი...
და სადღაც შორს –
ჰადესთან¹
ისმის ყევა ცერბერის².

1964

¹ ჰადესი (ბერძნ.) – მიწისქვეშეთის სამეფო.

² ცერბერი (ბერძნ.) – მიწისქვეშეთის (ჯოჯოხეთის) მცველი სამთავიანი ძაღლია



ერთად სდექით!

წარსულიდან მოფრენილი,
მყინვარწვერზე შემომჯდარი
ფრინველი თუ ქართველის სული,
გადაჰყივის იმერ-ამერს,
მთებზე შემდგარ ფშაგ-ხევსურეთს,
პირაქეთელს,
პირიქითელს!

ერთად სდექით!

ნუ ახარებთ!
სისხლისმსმელ მტერს და...
იქედნეს!

1991



სასაფლაოზე

საიდანღაც ხმა ისმის

ჭმუნვისა და ვედრების,

საფლავებზე ჯვრები დგას,

ისე, ვით კათედრები.

მე კი ამდენ წოლისგან

როგორ მტკივა გვერდები,

ო, რა ძნელი ყოფილა

სიკვდილთან შეხვედრები!

2020



მცხეთას

ომით დაღლილ, ვით გარდასულ
დღეებს,
თვალს შევაველებ
ანანურის ციხეს,
(აი, ახლაც დარდის ნისლს, რომ იხვევს...)
მასთან ერთად სილამაზეს ხევთა
მერე მსრებით –
მივწი-მოვწევ კლდეებს,
ვით არაგვი მუხლს მოვიყრი მცხეთას.

1966



პირითერა და პირიმზე

მთით ჩამოსულა ზამთარი
და ლაფაროსთან ყინულის
კბილს აკაწკაწებს სიცივე.
ტირიან იაიები,
თოვლის ქათქათა ღიმილზე.
და საწყლად –
ცას შესციცინებს
პირითერაც და
პირიმზეც.

1963



როგორც ღვთისმშობელს

მიწამ არ იცის თავისი ფასი,
რადგანაც წელი –
ათასჯერ ასი,
ქვეყნის გაჩენას მთები შიშობენ...
რადგან მიწას,
ცა,
ვით ყრმა იესო,
ხელში უჭირავს როგორც ღვთისმშობელს.

1961



* * *

ისე,
ვითა მაცილმა*,
ქარმა დილის ნისლებში,
მოუნდომა მიმაღვა,
ცეცხლის დეზებიან კვამლს,
ცისკენ –
ლოცვად მიმაგაღს.

1967

* მაცილი – ავსული.



**მენერა,
მერკური,
პლუტონი**

ხუთიათასწლეული –
ვზივარ პონტოს
ზღვისკარად!
ვით ბატა და კოლხეთი,
დარდით ხელ-ფეხ-შეკრული.
და არავის ვიკარებ!
თავს არავის ვუტოლებ!
ახლო მეზობლადა მყავს
ვენერა¹ და
მერკური²
და ცოტა შორს კი – პლუტონი³.

1961

¹ ვენერა - პლანეტა

² მერკურამდე – 56 000 000კმ

³ პლანეტა პლუტონამდე – 6 000 000 000კმ



ჯაგუ ებრისელს

დააჩიავეს შენი კოლხეთი,
დააბრმავეს და კვლავ შეასხეს
თვალში ქეძაფი!
ჯაგუ ებრისელ!
სად ხარ ძმის გულო!
სამი ათას წლის მერე გეძახი!
მოდო!
კოლხეთში მინდა
გიგულო!

1993



* * *

ღრუბლის შავი ნაფოტები

რია-რია მიაქვთ ქარებს,
ჩაუმტვრიეს ზეცას მინა.

მზე ჩასულა მომცინარი.

ღედას ჭიდან ოწინარით
ამოჰყავს და...

მწუხრის მთვარეს,
კოკის ფსკერზე უჩენს ბინას.

1956



ლოდინის ლოდზე დამჯდარი
განთიადსა და
მზეს ელი...
მღვრიე დრო უფრო იმღვრევა...
ცა – არის შენი მშველელი,
ზღვა კი – ძალა და
სიმღერა.

1972



შუმერებს და აქადებს

ნეტავ, რა იქნებოდა,

შუმერებს და

აქადებს,

ისე, ვით არგონავტებს,

"კუტაია" ენახათ,

მოელწიათ აქამდე?!

1968



ცვარ-ნამი

განთიადისას მოსულო

ცვარო,

სპეტაკო ღვთის სიტყვაჲ.

ნამო,

უფლისებრ კეთილო!

"ცუარო ცხოვრებისაო!"

"ცვარო, ზეგარდმო

წვეთილო?"

1984

1 – მიქაელ მოღრეკილი

2 – დავით გურამიშვილი



ხილულის თუ უხილაის,
აღარა ხარ კმაყოფილი,
რადგან "მიღმურს" ეტანები.
და წამითაც ვეღარ შესძელ –
ცხადად ქცევა ნეტარების,
ასრულება არყოფილის.

2005



სხვა პლანეტიდან გადმოფრენილი,
შენ ხარ მხედარი –
ღღეთა მარულის,
ათასწლეულებს რომ დაამუნჯებს,
შენშია ზესთა სიბრძნე –
ფარული
და მიწიერი აზრთა საუნჯე.

2001



შაჰი არაგვი

სამშობლოს ცეცხლი ენთოთ გულებში,
კრწანისთან მტერმა რომ

ჩააქრო და გააცივა

(თუმცა მომხდური უღვთოდ დარაგვეს!)

და... ჰა,

მას შემდეგ შავი არაგვი

გლოვობს და გლოვობს –

სამას არაგველს

და... ტანზე შავი ძაძა აცვია...

1968



მიმღევარი მაცხოვრის –
"შელენი¹ და
მოლენი²"
არასდროს დაიგმობა!
შენ კი ზეცა გმფარველობს,
მამისაგან მოვლენილს
და "ფალავან მწიგნობარს".

1999

1,2 – გაღმელი და გამოღმელი (მეგრ.)



ედემ ბაღი

ადამის ძეს კბილი ბევრჯერ
მოსჭრა არა სიცოცხლის,
ცნობადის ხის ნაყოფმა.

მაგრამ მაინც ედემ ბაღში
ერთად დგანან,

ვით დღე-ღამე,
ვით ყოფნა და არყოფნა.

1969



აფხაზეთი კი არა,
საქართველოს,
ვით არსაკიძეს, მარჯვენა მოკვეთეს!!!
ქართული მიწა კი
ცრემლებით ირწყვება.
და ყველამ იცის –
მტერმა თუ მოკეთემ,
რომ საქართველო კოლხეთით იწყება.

1992



წიწამური და კრწანისი

ირევა ჟამთა მორევი,
მიჰქრიან საუკუნენი...
წიწამურიც და
კრწანისიც,
მამულო! ჩემთვის ორივე –
სნებაა განუკურნელი!

1963



უამთა ქარში მომწყვედელი,
პონტოსავით რომ გმინავდა –
ქართულ სიტყვის მზის –
მთესავი.

დღეს ცა უხმობს –
ცის ბინადარს,
ორბუნოვანს ქრისტესავით.

2015



ზღვას გრივალს ჯვარზე აკრავს
და, მოვარისგან განსხვავებით,
მზემ მწუხრის ნაღმს
ფეხი წაჰკრა
და აფეთქდა დასავლეთით,
მერე ცაში ვარსკვლავებად
გაიფანტნენ ნამსხვრევები.

1972



კოლხთა წარსულიდან მოხველ
და საუნჯე გაქვს უთვლელი...
გზაც ნაფენი ნარ-ეკალით.
გასაგისი ხარ რუსთველის
და ფშაველას –
ალი-ეკალი.

2014



რწმენის ოქროს მარცვალი

იქცა ერთი

ათასად.

მაგრამ აღარ აცალეს,

ცამეტ ვერცხლზე გაცვალეს!!!

თუმც ხელთ ეპყრა გრაალის –

უსამანო ცა – თასად.

2013



ფაზისის და პონტოს პირას –
 ლეგენდიდან ჩამორეკილს
 კვლავ ვაძოვებ ოქროს აპისს*.
თვალუწვედენი მოჩანს ახო!
 ზღვა დელაეს და...
 აბა, ვნახოთ! –
ვინ გააღწევს გაღმა ნაპირს.

2014

*აპისი – (ბერძ.) – ღვთაებრივი ხარი



ღამეს და სიშორეს

ისევ ისე გალობს –
უხილავი ქორო.

ცა – ოპერაა და,

ვარსკვლავთა დიდ ორკესტრს,
მთვარე დირიჟორობს.

1965



ამ აყვავებულ ველ-მინდვრებს

მსურს,

რომ მარადუამს ვხედავდე.

არ ვიცი, რა მეშველება!

რა არის წუთისოფელი,

– თვალის

სულ ერთი შეველება.

2014



ეს მერამდენე წელიწადია,
დედამიწაზე რომ ვერ ეტევი
და, შორს კი არა,
ხობის პირას,
აქვე,
ხეთასთან,
ფართა უღარუნს რომ ისმენ ხეთების.

1979



ლოდიო

მეთორმეტე საუკუნე,

რა ხანია –

უკან დარჩა.

და მას შემდეგ,

ჩვენ მეორეს ველით

რუსთველს,

მაგრამ იგი ჯერაც არ სჩანს.

1999



ათასწლეულთა

უფრო იქიდან

რადგან სიმღერად ქვეყნად

მოსვედი,

გარდასულ

დღეებს

ადარ მისტირი,

თუმცა აიეტის არის კოლხეთი,

შენი ოცნება და

ორიენტირი.

2001



სიცოცხლე,

სიკვდილი

სიცოცხლე –

უცოდველი ბატანია,

სიკვდილი? –

მხეცი და ნადირია,

მიჰყვება ღამეულ გზა-შარას....

შვილმკვდარი დედები –

უცრემლოდ ტირიან,

რადგანაც მათი ცრემლების ზღვა –

დამშრალია.

2017



რადგან მოკლეა წუთისოფელი,
მიტომ შორეთზე ფიქრი
გვიტაცებს,
თუმც აქ,
არყოფნის თოკით
დავებით.
რაც გვავიწყდება დედამიწაზე,
იმასსოვრებენ ცად ვარსკვლავები.

2017



სამი რაინდი

სამმა დიდმა რაინდმა –

უშბამ,

შხარამ,

თეთნულდმა,

სიხარული მაჩუქეს! –

როცა, ვით სამლოცველოს,

შემახედეს მზით სავსე,

მურყვანებს და მაჩუბებს.

1958



✠

აირია ქვეყანა...

აწი,

კაცმა არ იცის!!!

როდის გამოიდარებს!

და მე ვუხმობ საშველად –

რუსთაველს და

პინდარეს.

1992



**წარმართ კოლხთა ღმერთა
კალენდარი**

მზე და მზის სიყვარული,
ცას ვარსკვლავებად ესხა...
ისმოდა კოლხთა ლოცვა:
თუთა¹,
თახა²,
ჯუმა³,
ცაშხა⁴,
ობი⁵,
საბა⁶,
ქეშხა⁷

1957

1,2,3,4,5,6,7, – კოლხური პანთეონის წარმართ ღვთაებების სახელები.



აქილევსის და ატილის

ერთი, მხოლოდ ღმერთი განმსჯის,
აქილევსის და
ატილის
საქმეს საძრახს და საგმიროს.
როცა დედა შვილს დასტირის –
ერთად ხარშავს ცრემლს
და მირონს.

1989



მარწკინიები

ღამის მინდვრებზე დაფარფატებენ
და ღობე-ყორეს რომ ედებიან,
მარწკინიები¹ –

მიცვალებულთა სულებია,
„ორმოცის“ მერე სამარიდან
რომ ამოსულან!

ახლა კი უკან ბრუნდებიან
ღამენათევი,
მაგრამ წვდიადში გზას ვერ იგნებენ,
თუმც პაწაწინა –
ხსოვნის კურცხალს ისინათლებენ.

1958

¹ მარწკინია (მეგრ.) – ციციანთელა.



0ა

ღურჯად გახელილი თვალით,
ეთამაშებოდა ნიავს,
სანამ მოხუც ხეებს ქარი
ფესვიანად ამოთხრიდა,
მანამ ბუჩქის ძირას ია,
მოსულს ჰგავდა –
სამოთხიდან.

1953



ქანაანში

შენც ისე, ვით იაკობმა,
ქანაანში სიზმრად ნახე,
სანახავი სხვაზე მეტი:
და გეზვენა – გვირგვინოსანს,
თავზე გედგა მზე და
მთვარე,
ვარსკვლავები ათერთმეტი.

1983



ცოდვილ დედამიწაზე –
 ჟამთ ბორბალი იგორებს...
 აღარ უნდა მისანი,
შენ რომ წახვალ გიგალობებს
 „მხედრიონი
 ცისანი“.

2017



საყვედური

სამშობლოს მცველთა –
შეხედე ლაშქარს,
რომ აბარია „უთაო მხედარს!!“
შენ გეკითხები –
მამაო ღმერთო,
ამ საოცრებას ნუთუ
ვერ ხედავ?!

1991



მოგონილი

ბ. კ-ს

შენმა „დიდმა“ სახელმა,
ქართულ სიტყვას მეხი ჰკრა.
ნეტავ, ვინ მოგიგონა?!
შენი მთელი „ნაღვაწი“,
არღირს ვ. ე-ს ერთ
სტრიქონად,
თვით შენ კი მის ფეხისმტვრად.

2015



ქარიშხლის ფრთების ტყლაშუნზე,
ზღვაში დამხვალთა სული თუ...
უცებ აფრინდა თოლია,
რომელმაც წივილ-კივილით
ქალებიც აიყოლია.

1960



ოფოფი

კუნძუზე მჯდარი ოფოფი,
თავზე ოქროს გვირგვინით
ჰგავს ეგვიპტელ
ფარანოს.

იქვე ციცქნა პეპელა
უქნევს ფრთების –
მარაოს..

1954



მეგრულ ყუბურსა და კველას

ფიქრი მკლავს და ვერ ვიძინებ:

– იქ წასულა თითქმის ყველა...

მე სიბერემ დამათოვა...

რა ვქნა!

მაინც შევცივინებ –

მამა-პაპის დანატოვარ –

მეგრულ ყუბურსა¹ და

კველას².

2018

¹ ყუბური (მეგრ.) – კერა, კერია

² კველა (მეგრ.) – პატარა ძელი სკამი.



შემოუსხდა მოვარის კუბოს –
ღრუბლის შაოსანი მრევლი,
ისმის მწუხრის არია...

შვილმოკლული დედის –
ცრემლი,
ნათლისღების დარია.

1969



ხილვა: ბაბაონი, იალონი

ბიბლიიდან წარმართ ღმერთთა
ისმის მოთქმა,

გოდება:

– ვაჰ! თუ ზეცამ იალოს!
და ვჭერეგ: ისოს ბრძანებაზე,
როგორ დადგა მზე –
გაბაონს,

მთვარე –

ხეესა იალონს.

1967



სადღაც ისმის ხმა მაცილის
და კენტავრი შიშის
ფლოქებს აბაკუნებს.
მე კი თორად საქართველოს
ზეცას ვიცმევ
და ვიკეთებ ვარსკვლავების
ოქროდ ნაჭედ –
საწვივებს და
საბარკულებს.

1968



დაღუპვა თარაშ ემხვარისა

ბორგავს მამა – მძუძე პონტო,
გულში იცემს ზვირთთა მჯიღებს,
დამხრჩვალ თარაშ ემხვარს
გლოვობს –
მუნჩია¹ და ჩხოუშია².

ენგურს, როგორც ჭირისუფალს,
ქაფის წვერი მოუშვია.

1963

¹² – პატარა მდინარეები სამეგრელოში.



თ ა ვ ი შ ე ნ ი შ ე ი ც ა ნ

დეღფოს ლოდზე წარწერამ
„მკლავი გამიმაცურა“.

ზღვის აკვანს რომ არწევდა“ –
ფიქრმა ათასწლეულების
მითების და ლეგენდების
ოკეანე გადასცურა
და კოლხეთში მომიყვანა.

2018



ძიღამტყდარო ვარსკვლავებო,
ბნელ ღამეს რომ
მისანათლებოთ,
გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი.
და ვგრძნობთ
იდუმალებას,
ცის და მთელი
პლანეტის...

1964



მეტეორთა გულისცემა

ვერ გაიგო იკაროსმა

ლოცვა...

და ვერც მიწის წირვა,

როცა მზისკენ გაიპარა.

ველარ იგრძნო ვერც ბრუნომ

და ვერც ნიცშემა,

ვითარცა შენ! –

კომეტების თავგანწირვა,

მეტეორთა გულისცემა.

1959



ლოცვა,

წყევლა

უფლის გარდა არვინ უწყის,

ვინ შენდება!

ვინ იქცევა! –

რომ გაიგო ბიბლიაში

უნდა შევლა,

იქ წერია,

როგორც ლოცვა,

ისე წყევლაც,

ზეცისაკენ მიიქცევა...

2019



მესამე

ჰორიზონტებს იქითაც
ჩუმად რომ მიესალმე,
ცის თვალსა და
გულის თვალს,
იმან გააგულისა
თვალი იგი –
მესამე.

1971



მიწა, ცა

საწყალი მიწა გულიდან
აფრქვევს დარდების
ოსშივარს,
ცაც ასე...
მზე წვავს ორივეს.
ჩვენ კი ნიადაგ
ომში ვართ...
და ამქვეყნიდან წასვლამდე,
წამით არ ვტოვებთ
ბრძოლის ველს.

2019



სანსკრიტული

რუსთაველის ტკბილი ენა,
მორაკრაკებს,
ვით ბინული...
მაგრამ ენა სანსკრიტული,
ვით ინდური და
ჩინური,
ჩემთვის გახდა ცხრაკლიტული.

1992



ტრამონტანა

საიდანღაც მომავლის,
 შოორეული ხმები ისმის
 ტრამონტანის¹
და ქარიშხალს აფრა გალობს...
 ზღვა –
 მთვრალივით
 დატორტმანობს
და ტალღა კი
 ნაპირ-ნაპირ
 დაფრანგალობს.

1955

¹ ტრამონტანა (ესპ.) – ჩრდილეთის ცივი ქარი ხმელთა-
შუა ზღვაში.



ქართული სული

(ვარიანტი)

რა წარღვნა!

რისი მიწისძვრა,

ეს –

სული არის ქართული,

მიწაზე, რომ ვერ ეტევა,

ასე ძაღობს და აშარობს...

და სურს ზე-ცაში

საფრენად,

ვით ალბატროსმა,

ქართული –

ფრთები ამაყად

გაშალოს.

1960



**ნიბირუ,
ასტეროიდი**

ჩვენთვის მარად უცნობი,
ათასწერად შენიღბული,
სადღაც,
შიშით დრო მიდის...
ჩვენ კი ველთ ნიბირუს,
ჩამოვარდნას ზეციდან
და ან ასტეროიდის.

2019



მომავლის პოეტი

„ .. ვაჟა ეგრისელი მომავლის პოეტია.“

იოსებ ნონეშვილი

არასოდეს გართობდა

ხმა დაფის და

წინწილის.

და შენ გიცნეს „მომავლის პოეტად“...

და იმ კაცად,

ვისი ნორჩი სახელი,

ვითა ქორმა –

წიწილი,

უცებ რომ აიტაცა.

1961



ცრუ რწმენა

მიყვარხარ და...

ცამცუმის,

ოქროს კოშკი აგიგე!

ეს ვინ უთხრა მამაშენს?!

ვიცი,

ცუდს რომ გავიგებ,

რადგან თვალი მარცხენა –

დილიდან მითამაშებს.

1954



ბედი დიდი პოეტის

ასჯერ არა,
ათასჯერ
ვთქვი და კვლავ ვიმეორებ,
რომ რაღაცით ერთმანეთს
მოჰკავს დიდი პოეტის
ბედი,
ბედს მეტეორის,
და ანდა ბედს კომეტის.

2019



ზღვა

შავი ღრუბლებით –
თმა გაბურძენული,
ზღვა მოჰგავს დემონს,
/თუ ნება მისცა ქარის
წელკაემა/.
ამოსვლას აპირებს ზემოთ,
დედამიწის –
წასალეკავად.

1962



აპოლონი,
დიონისე

აპოლონზე¹ მიცემული,
კვლავ გავტეხე მტკიცე ფიცი,
ვეძალები ღვინოს ისევ.

სასიმღეროდ –

ვეღარ ვიცლი,
ვერ ვღალატობ,
დიონისეს².

2000

¹ აპოლონი (ბერძ.) – ხელოვნების, სინათლის, წინასწარმეტყველების ღმერთი, ზევსის შვილი.

² დიონისე (ბერძ.) – ღვინისა და დროსტარების ღმერთი, აპოლონის ძმა.



მთვარე

სანამდე ელვა ქორივით,
ჩაუქროლებს ვარსკელაებს
ცის ლურჯ მინდორზე
გაფანტულ
ხვთის – ოქროსგულა წიწილებს.
და სანამ შეძრავს სამყაროს
ზევის რისხვა და ქუხილი,
მანამ მთვარე შიშს იწივლებს
და ფრთებსქვევშ შემოიფუჟებს
მნათობებს დედა კრუხივით.

1958



ამირბარო,
სპასპეტო
და სპასკლარო

წადი ისე!
ამასოფლად,
არაფერი დაიბარო!
თუმც იციან, რომ სხვა მეტობ...
სხვა განძი გაქვს,
სხვა საღარო!
ქართული სიტყვის მეციხოვნე –
ამირბარო!
სპასპეტო!
და სპასკლარო!

2019



ხილვა: გიორგი ჭალადიდელი

მომწუხრია...

და ყორათის

არჩანს ხიდი,

ციცქნა წყალი ჩანს ადიდლა,

თუმც ლოდები

ისევ იქ დევს.

ვჭკვრებ გიორგი ჭალადიდელს,

ჩაფიქრებულს ჭალადიდთან.

1955



ვინც ჭირში მყოფს
გულგრილად
გვერდზე ჩუმად ჩაუვლის,
არის ქვეყნად ყველაზე
დიდი დანაშაული.

2002



სპირიტული

სიზმარეული ბილიკებით,
საიდანღაც მოსულთ სოფლად,
არც ცოდნა გვაქვს
არც ტიტული,
მიტომ ქვეყნად კაცის ყოფნა,
სეანსია –
სპირიტული¹.

2009

¹ სპირიტული (ლათ.) – ცრურწმენა, ვითომ შეიძლება მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება.



გუგული

გაზაფხულიდან შემოფრენილი,

„კაფე – თესეო!“

კვლავ ხმობს

გუგული,

და მიძინებულ სოფელს აღვიძებს...

თავისი კვერცხი

ისევ უდევს შინ,

და სურს რომ ჩადოს სხვათა ბუდეში,

სხვამ გამოჩეკოს ბარტყი

უგულოდ!!!

.....

„კაფე – თესეო!“ – კვლავ ხმობს გუგული.¹

1963

¹ გუგული – დედამიწაზე ერთადერთი ფრინველია, რომელიც თავის ბარტყებს სხვა ფრინველ აჩეკინებს.



ლაზარე

რა დღეს,

რა ხვალ, გარდასულთა,

ცხრაკლიტულის კარს

გაადებს,

აღდგება და ჩვენთან მოვა.

და მიღეთი აამადლებს:

ასომთავრულს,

ნუსხურს,

მრგვლოვანს.

1981



სტრაპონი

(64 ძვ.წ. 24ა.წ.)

მამით ნაღდი ბერძენი,
სუფთა ჭანი მე დედით,
ვამბობ:

ქალი ბრძენთბრძენი,
მეუფობდა მედეა,
დიდ ქვეყანას ქიმეთის.

1962



* * *

წვიმა წვრილი და გრძელი თითებით
უკრავს ცისარტყელას –
ფერად სიმებიანს.
ღვთის წინაშე კი ჩვენ ვართ მართლები,
მიტომაა რომ ვარსკვლავები –
სერაფიმები
წყვლიად ღამეს რომ გვისინათლებენ.

1961



* * *

უფლის ხელით დაკეტილი,
შენ გახსენი ჟამთა კლიტე,
ისე როგორც არქიმედემ,
პინდარემ და ჰერაკლიტემ.
და მე მიკვირს: ამდენ
ღელვას,
წუხილს,
სევდას და იმედებს,
კაცის გული როგორ იტევს?!

1990



აბრაჟინა

აწ შორეული მგზავრობისათვის,
უნდა გეჭიროს შენ თადარიგი,
უფლის მხევალო,
ო, აგრაფინა!

იელვა?

არა!

არსთაგამრიგემ,
სულ წამიერად –
თავისი შუქი გადმოგაფინა.

1998



* * *

დღე-ნიადაგ მასზე მლოცველს,
მაცხოვარი მუდამ თავის
ახლო მთვლიდა.

აი, ახლაც უფაროდ და უხმლოდ,
მუხლმოყრილი უფალს ვუხმობ
და მპასუხობს იგი თავის წმინდა
მთიდან.

2009



შურის ციხე

მტერი ქართლის სილამაზით,
ახლაც ბოღით სკდება
გულზე,
წარსულისკენ ჩუმად იხევს.
და შორიდან შურით უმზერს:
არმაზს,
ჯვარს და
„შურის ციხეს“.

1972



მზე და მთვარე

ჩანჩქერები კლდიდან ვარდებიან,
მდინარეები მთებს ტირიან...
ირგვლივ სიმრუშე და
სიშავეა.

ჩამავალი მზე – დღის სასრული და
წერტილია,
ნალევა მთვარე –
ღამის სასვენნი ნიშანია.

1972



* * *

მარტი მიიპარება,
ამინდია კაპრიზი,
სახე მიდგას შენი.
და ქარები ნაპირზე
ტალღებს, ვით სველ ხალიჩებს,
გასაშრობად ფენენ.

1978



ეზრისის მთეპი

ათასწლეულების იქით,
პონტოს პირას –
ცა კოლხური,
მთვარის მანდილს აფრიალებს.
და ეზრისის თეთრი მთეპი,
თითქოს ღაზთა გემეპია –
თეთრი ნისლის აფრიანი.

1967



* * *

შენი ხმა ელვად უელის სამყაროს,
ვითარც უვლიდა
და სტრიქონების თითებით,
ამირანივით გამომყავს ცეცხლი,
ციდან კი არა,
ლერწმის გულიდან.

1962



მე და შავი ზღვა

დასაბამიდან კოლხეთში ვსახლობთ,
„ნენანასაგან“* და მზისგან
ვიშვით,
მიტომ ერთი გვაქვს გულისფიცარი.
და უკვდავების
თან დაგვდევს შიში,
მე და შავი ზღვა ვართ
ტყუპისცალი.

1962

* ნენანა – იგივე რვა კიბულე, ნაყოფიერების ღვთაება.



მუსიკა და მხატვრობა

მუსიკოს რუსუდან ხორავას
მხატვარ შარბ ხოჭოლავას

ათასწლეულების მერეც,
ცად აღმართავს სიყვარულად,
დააქცია რაც მტრობამ:
მუსიკა და პოეზია,
ფიზიკა და მხატვრობა.

1960



ვირა კონა

ადრე რა შორს მოჩანდა:

(ახლა გულზე ვასკდები)

აპენინზე – ეტრუსკები¹,

პირინეზე – ბასკები²

და აღდგომის კუნძულზე –

კოლხი ვირა კონა³ და

აზიაში ქასქები.⁴

1977

¹²³⁴ კოლხთა (ქართველთა) შორეული ნაშიერნი.



* * *

მწუსრიდან – დილამდე ამოსული,
დრუბლები ცის სახეზე
ჩანს წვერივით.
დღე სადღაც მზეს მიფიცხებია.
ვარსკვლავები –
